

2001

38. საქართველოს პარლამენტის განცხადება სოხუმის სეპარატისტული რეჟიმის მიერ 2001 წლის 10 მარტისათვის დაგეგმილი არჩევნების შესახებ, 2001 წლის 2 მარტი.

განცხადება სოხუმის სეპარატისტული რეჟიმის მიერ 2001 წლის 10 მარტისთვის დაგეგმილი ე.წ. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების შესახებ

სოხუმის სეპარატისტული რეჟიმი აფხაზეთის ტერიტორიაზე 2001 წლის 10 მარტს აპირებს ჩაატაროს ე.წ. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნები.

საქართველოს პარლამენტი ამასთან დაკავშირებით აცხადებს, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების ჩატარება უკანონო და მიუღებელია, რადგან კონფლიქტის შედეგად არის შეცვლილი დემოგრაფიული ვითარება, საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აღიარებულია აფხაზეთში ქართული მოსახლეობის ეთნიკური წმენდის ფაქტი და დაგმობილია აგრესიული სეპარატიზმი, ამასთან, საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 10 მარტისა და 1996 წლის 17 აპრილის დადგენილებების თანახმად, სეპარატისტული რეჟიმის მიერ მიღებული ნებისმიერი აქტი ცხადდება ბათილად და იურიდიული ძალის არმქონედ.

საქართველოს პარლამენტი გაეროს, ეუთოს, დსთ-ის, საქართველოს მეგობარი ქვეყნების ხელმძღვანელობის ყურადღების მიაპყრობს იმ ფაქტს, რომ სოხუმის სეპარატისტული რეჟიმი ჯიუტად უგულბებლყოფს საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ კონფლიქტის მოსაგვარებლად მიღებულ რეზოლუციებს და მსოფლიო თანამეგობრობის მიერ არაერთგზის კატეგორიულად გამოხატულს პოზიციას – აფხაზეთის მოსახლეობის ორი მესამედის დევნილობის ვითარებაში ჩატარებული ნებისმიერი დონის არჩევნები იურიდიული ძალის არმქონეა და ბათილია.

საქართველოს პარლამენტი თვლის, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების იმიტაციით სოხუმის სეპარატისტული რეჟიმი აგრძელებს უნაყოფო მცდელობას – შეიქმნას მსოფლიო საზოგადოებრიობის თვალში დემოკრატიული ღირებულებებისადმი ერთგულებისა და ხელისუფლების ლეგიტიმურობის იმიჯი. ეს აქტი სხვა არაფერია, თუ არა სოხუმის სეპარატისტული რეჟიმის მორიგი ცინიკური ნაბიჯი, გადადგმული ეუთოს ბუდაპეშტის (1994 წელი), ლისაბონის (1996 წელი) და სტამბოლის (1999 წელი) უმაღლესი დონის შეხვედრებზე ოფიციალურად აღიარებული აფხაზეთში ქართული მოსახლეობის ეთნიკური წმენდის შედეგების დასაკანონებლად.

საქართველოს პარლამენტს მიაჩნია, რომ სოხუმის სეპარატისტული რეჟიმის ასეთი თვითნებობა შესაძლებელი ხდება მის მიმართ რუსეთის ფედერაციის გარკვეული წრეების ფარული ნხარდაჭერის გამო, რასაც კონფლიქტის საბოლოო მოწესრიგების პროცესი ჩიხში შეყავს.

საქართველოს პარლამენტი მიმართავს გაეროს, ეუთოს, ევროკავშირს, ევროპის საბჭოს, დსთ-ს წევრ ქვეყნებს, შესაბამისი შეფასება მისცენ აფხაზეთის ტერიტორიაზე 10 მარტისთვის დაგეგმილ უკანონო არჩევნებს, გამოიყენონ მათ ხელთ არსებული მექანიზმები, სოხუმის სეპარატისტულ რეჟიმსა და მის მხარდამჭერებზე ზეგავლენის მოსახდენად და ე.წ. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების ჩასაშლელად.

თბილისი, 2001 წლის 2 მარტი
(www.Parliament.ge)